ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

მიგრანტი

ჩანართს გამოსცემს
ახალგაზრდა მეცნიერთა
კავშირი „ინტელექტი“.

№20 / 2017

წარმატებული ბენეფიციარები

ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტებისთვის ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ახორციელებს პროექტს „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია მცირე სასწავლო გრანტის პროგრამა – გრანტების გაცემა. პროექტის ფარგლებში, საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ბენეფიციარები სხვადასხვა პროფესიას ეუფლებიან.

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე

მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის № 18
ტელ.: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50

მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.ge
ვებგვერდი: intellect.ge

მზარეული
ცირა ცივნარიძე



ცირა ცივნარიძე 38 წლის შრომითი მიგრანტია. მან მზარეულის პროფესიის უფასო სწავლების კურსი გაიარა. სამი შვილის დედა ოჯახისა და შვილების უკეთესი მომავლის შესაქმნელად საზღვარგარეთ მუშაობდა: საბერძნეთში, ქუვეითში, თურქეთში... თავს არ ზოგავდა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ არაფერი იცვლებოდა. ბოლოს ცირა საქართველოში დაბრუნდა და გამოსავლის ძებნა აქ დაიწყო:

„გადავწყვიტე ისევ საქართველოში მომეძებნა გამოსავალი. ახლობლებისგან გავიგე „ინტელექტის“ პროექტის შესახებ – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარაში“ და ჩავერთე.

დიდ მადლობას ვუხდი „ინტელექტს“! თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მათი ხელშეწყობით ჩემთვის სასურველ პროფესიას დავეუფლე – მზარეული გავხდი. ჩემი პედაგოგის, მანანა გაგუას და სასწავლებლის რეკომენდაციით უკვე ორი თვეა ვმუშაობ ბათუმში, კობალაძის №4 ნომერში მდებარე უკრაინულ კაფე „TENJERINE-ში“. ანაზღაურებაც კარგი მაქვს.

არაერთი გეგმა მაქვს, მინდა ჩემი რესტორანი, კაფე ან ბარი მქონდეს.

ყველა მიგრანტს მოვუწოდებ ჩაერთონ „ინტელექტის“ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, დაეუფლონ მათთვის სასურველ პროფესიას და დასაქმდნენ იქ, სადაც თავს ყველაზე კარგად გრძნობენ, ანუ თავიანთ ქვეყანაში!“

სტილისტი
ნარგიზ დოლიძე



წელიწადში რამდენჯერმე თურქეთში გადავდიოდი სამუშაოდ, პარალელურად ჩემს ქალაქშიც, ქობულეთში, ვეწეოდი სამკერვალო საქმიანობას, კლიენტებიც მყავდა.

მერე ჯერ მეუღლე გამიხდა ავად, შემდეგ შვილი სიკვდილს ძლივს გამოვსტაცე ხელიდან. უკვე წელიწადში ერთხელ თუ ვახერხებდი თურქეთში გადასვლას. ამიტომ სადედოფლო კაბების კერვა-გაქირავებაზე გადავედი.

62 წლის ასაკში გადავწყვიტე მესწავლა. მეგობრის რჩევით ჩავერთე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტში და სტილისტის სპეციალობის სასწავლო კურსი უფასოდ გავიარე. მოყვარულის დონეზე ახალგაზრდობაშიც ვსტილისტობდი, საკუთარი სალონი მქონდა, მაგრამ ამ სამი თვის განმავლობაში მეტი გამოცდილება მივიღე და უფრო დავიხვეწე. თანამედროვე ვარცხნილობა - კარე, ბობ კარე, მელირება, ომბრე, ქიმიური დახვევა, ლოკონები, ხვეულები... ეს იმ ვარცხნილობების მცირე ჩამონათვალია, რაც კოლეჯში შევისწავლე. უკვე სამი პროფესია მაქვს: მკერავი, მხატვარი და სტილისტი ვარ.

პარალელურად დავიწყე მუშაობა საქორწინო დარბაზების გაფორმებაზე. სტილისტის პროფესია ძალიან დამეხმარა, პატარძლებს საქორწინო ვარცხნილობებსაც ვუკეთებ. ახლა ჩემი ოცნებაა, მქონდეს საკუთარი საქორწინო დარბაზი და ჩემთან მოსულ კლიენტს ყველა სერვისი ერთად შევთავაზო.